მოსმენა (audition; слушание) – **სმენით მოდალობაში** მეტ-ნაკლებად **მიზანმიმართული აღქმისა** და **ესთეტიკური გრძნობის** ერთობლივი ქმედება; მიზანმიმართული აღქმა აღქმულის **ესთეტიკური განცდისა** და **სიამოვნების**, ანდა **ესთეტიკური შეფასების** მიზნით. ყველაზე მკაფიო მაგალითებია მუსიკის ან ბუნების ხმების **მ**. ხოლო მაგ., ლექციის მოსმენა, არსებითად, **დაკვირვებას** განეკუთვნება, ისევე როგორც შემეცნებითი ტექსტის წაკითხვა – მათში მთავარია არა **აღქმა**, არამედ **აზროვნება.**

უბრალო სმენითი აღქმისგან, გაგონებისგან განსხვავებით, **მ ქცევის ფორმაა**, რადგან აქვს საკუთარი **მოთხოვნილება**. ქართული ენა კარგად განასხვავებს: მომესმა (არაა ქცევა, რადგან სუბიექტი პასიური მიმღებია) / მოვისმინე (სუბიექტი აქტიურია, სათანადო მოთხოვნილება ამოძრავებს, ამიტომ ქცევაა). **მ**-ს ზოგჯერ ერთვის მიზანმიმართული აღქმის სხვა სახეობა: **თვალიერება** (მაგ., ცეკვის ან ფილმის ყურებისას), ან **დაგემოვნება** (მაგ., კაფე-ბარში). ლიტერატურული ნაწარმოების მოსმენისას მთავარია არა **მ**, არამედ **გააზრება** და **ესთეტიკური გრძნობა.**